

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/91

თბილისი

28 ნოემბერი, 2022 წელი.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის, მე-2 პუნქტის, „ი“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესის მე-4 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, აკადემიური ნიშნით, შემდეგი მიმართულებებით:

- პროფესორი - 6 ადგილი (კლინიკური მიმართულებით - 3 ადგილი, მედიკობიოლოგიური კურსების მიმართულებით - 3 ადგილი);
- ასოცირებული პროფესორი - 8 ადგილი (კლინიკური მიმართულებით - 3 ადგილი, მედიკობიოლოგიური კურსების მიმართულებით - 3 ადგილი, კვლევების მიმართულებით - 1 ადგილი, ჯანდაცვის მიმართულებით - 1 ადგილი);
- ასისტენტ-პროფესორი - 11 ადგილი (კლინიკური მიმართულებით - 4 ადგილი, მედიკობიოლოგიური კურსების მიმართულებით - 4 ადგილი, კლინიკური უნარების მიმართულებით - 1 ადგილი, კვლევების მიმართულებით - 1 ადგილი, ჯანდაცვის მიმართულებით - 1 ადგილი)

2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსში, საკონკურსო (საკვალიფიკაციო) მოთხოვნები განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის წესის შესაბამისად:

ა. კანდიდატი პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკონკურსო (საკვალიფიკაციო) მოთხოვნებს:

- ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- გ) ბოლო 9 წელი კლინიკური საქმიანობის გამოცდილება (კლინიკური დისციპლინებისთვის);
- დ) შესაბამისი სასწავლო კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორობა/თანაავტორობა;
- ე) აკადემიური საქმიანობის ხედვა;
- ვ) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუს(ებ)ის) წარმოდგენა;
- ზ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი. (კლინიკური დისციპლინებისთვის)
- თ) ინგლისურ ენაზე სასწავლო კურსის განხორციელებისთვის შესაბამის (მინიმუმ B2) დონეზე

ცოდნა.

ბ. კანდიდატი *ასოცირებული პროფესორის* აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკონკურსო (საკვალიფიკაციო) მოთხოვნებს:

- ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში
- გ) ბოლო 5 წელი კლინიკური საქმიანობის გამოცდილება. (კლინიკური დისციპლინებისთვის)
- დ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
- ე) აკადემიური საქმიანობის ხედვა;
- ვ) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის (სილაბუს(ებ)ის) წარმოდგენა;
- ზ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე პეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი. (კლინიკური დისციპლინებისთვის)
- თ) ინგლისურ ენაზე სასწავლო კურსის განხორციელებისთვის შესაბამის (მინიმუმ B2) დონეზე ცოდნა.

გ. კანდიდატი *ასისტენტ პროფესორის* აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკონკურსო (საკვალიფიკაციო) მოთხოვნებს:

- ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
- გ) აკადემიური საქმიანობის ხედვა;
- დ) სასწავლო კურსის საგანმანათლებლო პროგრამის (სილაბუსის) წარმოდგენა;
- ე) ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება; (კლინიკური დისციპლინებისთვის)
- ვ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე პეციალობის სახელმწიფო სერტიფიკატი (კლინიკური დისციპლინებისთვის)
- ზ) ინგლისური ენის სასწავლო კურსის განხორციელებისთვის შესაბამის (მინიმუმ B2) დონეზე ცოდნა.

3. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე გადაირჩევა კონკურსანტთა დოკუმენტაცია, მეორე ეტაპზე ტარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

4. აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველებმა უნივერსიტეტის კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტაცია:

- ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგისა და აკადემიური თანამდებობის მითითებით (იხ. დანართი N1);
- ბ) ავტობიოგრაფია (CV) ქართულ და ინგლისურ ენაზე (ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით);
- გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- დ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის/დოკუმენტების ასლები (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);
- ე) პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;
- ვ) საკონკურსო თანამდებობის/დარგის ადეკვატური სამეცნიერო ნაშრომები, ან მათი ასლები

(გამოქვეყნებული ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ზ) შესაბამისი სასწავლო კურსების/კომპონენტის სილაბუსები (ელექტრონული ვერსია);

თ) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა;

5. კონკურსი ცხადდება 2022 წლის 28 ნოემბერს. კონკურსანტთა საბუთების მიღება იწარმოებს 30 დეკემბრიდან, 2023 წლის 10 იანვრის ჩათვლით. კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება არა უგვიანეს 2023 წლის 15 იანვარს, მეორე ეტაპი ტარდება არა უგვიანეს 2023 წლის 21 იანვარს, კონკურსის შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 2023 წლის 25 იანვარს. კონკურსანტების მიერ სააპელაციო განცხადებების წარდგენის ვადაა 2023 წლის 26 იანვრიდან, 1 თებერვლის ჩათვლით. კონკურსის საბოლოო შედეგები, აპელაციის გათვალისწინებით განისაზღვრება 2023 წლის 2 თებერვალს;

6. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ეთხოვოს წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული საკონკურსო პროცესის კოორდინირება.

7. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან.

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის**

**კანცლერი
ელისო ელისაშვილი**

**რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი**